საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესიკ ქარცივაძე – კოლეგიის წევრი

ნათია ჩიტაშვილი– კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.04.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 029/23

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ადვოკატი გ. ჟ. /სიითიN/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ჟ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2023 წლის 19 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. დ.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. ჟ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დ. დ.-მა მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 22 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაში, სადაც მხარი დაუჭირა საჩივარს.

1.2 დ. დ.-ს განმარტებით, ადვოკატ გ. ჟ.-ს აქვს სამოქალაქო დავა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირთან. დავის საგანს წარმოადგენს შრომითი დავიდან გამომდინარე სახელფასო ანაზღაურება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ის არის ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

1.3 დ. დ.-ს განმარტებით, ადვოკატი გ. ჟ. პროცედურის დაუცველად დაინიშნა კავშირის თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა კავშირის თავმჯდომარე ჰ. გ., გ. ჟ. პირადი მიზნებისათვის იყენებდა კავშირის ბეჭედს, სეიფის გასაღებს და მან შეადგინა ორი ყალბი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს გ. ჟ.-ს მიმართ ეკისრებოდა ფინანსური ვალდებულება, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. აღნიშნული ყალბი დოკუმენტების საფუძველზე ადვოკატმა გ. ჟ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა კავშირისათვის თანხის დაკისრება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატ გ. ჟ.-ს მიერ დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

1.4 დ. დ.-ს განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი მ. რ., რომელმაც სასამართლოში არ წარადგინა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყრილობის ოქმები, რაც დაადასტურებდა გ. ჟ.-ს მიერ წარდგენილი ოქმების სიყალბეს, რითიც ხელი შეუწყო გ. ჟ.-ს. მომჩივანის განმარტებით, მოგვიანებით, ადვოკატმა მ. რ.-მ თავადაც მიმართა სასამართლოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წინააღმდეგ, რაც ადასტურებს ფაქტს, რომ ადვოკატები: გ. ჟ. და მ. რ. შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

1.5 მომჩივანის განმარტებით, ამჟამად ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირთან არსებულ დავაზე საქმე წარმოებს სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ და ელოდებიან აუქციონის ჩანიშვნას. რაც შეეხება ადვოკატ მ. რ.-ს, მისი სარჩელი განსახილველად მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლომ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ჟ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 24 აპრილს, სადაც მიუთითა, რომ დ. დ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებული და არ უნდა დაკმაყოფილდეს. გ. ჟ. დაესწრო 2023 წლის 16 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც წარმოადგინა ზეპირი განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, დ. დ.-ს საჩივარი ეხება საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოს, მათ შორის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმეზე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი და დღესდღეობით მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროში“.

2.3 2023 წლის 16 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა გ. ჟ.-მ განმარტა, რომ დ. დ.-ს მიერ საჩივარში აღწერილი გარემოებები, მათ შორის ბრალდება მის მიერ დოკუმენტების გაყალბებაზე არ შეესაბამება სინამდვილეს; არ არსებობს ისეთი მტკიცებულება, რაც აღნიშნული გარემოების სინამდვილეზე ვარაუდის საფუძველს

შექმნის. ადვოკატის შეფასებით, სწორედ აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით ვერ შეძლო საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიისათვის მტკიცებულებების წარმოდგენა და მის პოზიციას მხოლოდ დაუსაბუთებელი განმარტებით წარმოადგენს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, დ. დ. არ წარმოადგენს უფლებამოსილ განმცხადებელს და მას არ გააჩნია ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ინტერესების წარმოდგენის უფლებამოსილება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, დ. დ.-ს მიერ სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი საჩივრის განხილვა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი გ. ჟ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 დ. დ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 19 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 32.2) დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ გ. ჟ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა გ. ჟ.-მ ისარგებლა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ბეჭდით, შექმნა ყალბი დოკუმენტაცია, რომელთა საფუძველზეც ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წინააღმდეგ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა კავშირისათვის თანხის დაკისრება; გ. ჟ. გაურიგდა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ადვოკატს - მონიკა რუხაძეს და მასთან ერთად მოქმედებდა კავშირის ინტერესების საზიანოდ. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატის ქმედებით მის ინტერესებს მიადგა გამოუსწორებელი ზიანი.

5.2. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ჟ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია: ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.ბ).

ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 5).

ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.3).

5.3. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად მოიაზრებს კანონიერების პრინციპს. საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება, სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება; ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა; ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა და ა.შ.. შესაბამისად, იგულისხმება, რომ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი სწორედ აღნიშნული პრინციპების დაცვით უნდა მოქმედებდეს.

5.4. „ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - ეთიკის კომისიის, 26.06.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N074/16).

5.5. „ადვოკატის მოქმედება შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. შესაბამისად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კანონითა და ეთიკის კოდექსის სტანდარტებით, რათა მისი პროფესიისადმი ნდობას საფრთხე არ შეექმნას საზოგადოებაში“ (ეთიკის კომისიის 23.08.2010 წლის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №057/10/).

5.6. „ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა სასამართლოს წინასწარი შეცნობით არ წარუდგინოს არა მხოლოდ ყალბი მტკიცებულება, არამედ..... ადვოკატმა განზრახ არ უნდა მიუთითოს ისეთ ფაქტზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და ამის თაობაზე ადვოკატისათვის ცნობილია“ (ეთიკის კომისიის 06.06.2013 წლის რეკომენდაცია N005/13).

5.7. ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას, სადავო ფაქტებთან დაკავშირებით მხარეებმა საპირისპირო განმარტებები წარმოადგინეს. ადვოკატმა უარყო მომჩივანის პრეტენზიები და განაცხადა, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს. მტკიცების ტვირთის განაწილებისას, საპროცესო კოლეგია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილებას (საქმე Nას-1294-1214-2015), რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც

საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ყველა მხარემ უნდა ამტკიცოს ის გარემოება, რომლის დამტკიცებაც მისი შესაძლებლობების ფარგლებს არ სცდება. მხარეს არ შეიძლება დაეკისროს უარყოფის მტკიცების ტვირთი, რაც, ობიექტურად, მისთვის შეუძლებელია. „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დ. დ.-ს გააჩნია პრეტენზია ადვოკატ გ. ჟ.-ს მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედების თაობაზე, მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრება.

5.8. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 16.10.2013 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე Nდს/შ10-13).

5.9. დ. დ.-ს ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას, არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დააკმაყოფილებდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს და დაარწმუნებდა საპროცესო კოლეგიას მოპასუხე ადვოკატის მიერ სადავო ქცევის ჩადენაში. მომჩივანის პოზიციის საპირისპიროდ, მხარეებისაგან მიღებული ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტები ადვოკატ გ. ჟ.-ს მიერ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელებაზე და სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების, მათ შორის იმ დოკუმენტების, რომელთა სიყალბეზეც აპელირებს მომჩივანი, საფუძველზე არ დააკმაყოფილა ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის მოთხოვნა.

5.10. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიღებული საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ არსებობს ადვოკატ გ. ჟ.-ს მიმართ, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5. ბ. მუხლისა და ეთიკის კოდექსის მე-5 და 9.3 მუხლების დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი, რადგან ვერ დასტურდება მისი მხრიდან, წინასწარი შეცნობით, ყალბი დოკუმენტების წარდგენა.

5.11. საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 31 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N029/23 ადვოკატ გ. ჟ.-ს /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ბესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/